/1

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №Ω-416

ქ. თბილისი „17" 08 2010 წ.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტი"-ს მიერ წარმოდგენილ „სოფ. ანაკლიასა და სოფ. განმუხურს შორის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის და მდ. ენგურზე სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №55; 16.08.2010წ „სოფ. ანაკლიასა და სოფ. განმუხურს შორის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის და მდ. ენგურზე სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოების მშენებლობაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №55; 16.08.2010წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტს.